განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

2019

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დადასტურების გზამკვლევი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

პროფესიული მოზადებისა და პროფესიული
გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის-სერთიფიკატის გაცემა.

ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება **უფლებამოსილია**, დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა **იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მას ავტორიზაციის შედეგად აქვს მოპოვებული.**

ამისთვის თქვენ უნდა
გაიაროთ შემდეგი ეტაპები

I ეტაპი

ელექტრონული განაცხადის გაკეთება

ელექტრონული განაცხადი კეთდება
ელექტრონული სისტემის მეშვეობით

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ელექტრონული სისტემის
შექმნამდე პროგრამის წარდგენა
განხორციელდება ცენტრში
მატერიალური სახით, რომელიც
ხელმოწერილი უნდა იყოს
უფლებამოსილი პირის მიერ

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

- იურიდიული პირის სახელწოდებასა და სამართლებრივ ფორმას;
- იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდს;
- იურიდიული პირის მისამართსა (იურიდიული და ფაქტობრივი) და საკონტაქტო ინფორმაციას(ტელეფონი და ელ. ფოსტის მისამართი);
- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებასა და სახეს (პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ ფორმას, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა;

პროგრამის ელექტრონული ფორმა იხილეთ შემდეგ ბმულზე- https://eqe.ge/geo/static/777//

- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილს; (შენიშვნა- თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ მხოლოდ ის განხორციელების ადგილი/ადგილები, სადაც ხორციელდება თქვენი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა)
- მსმენელთა რაოდენობას (მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით);

განაცხადს უნდა დაერთოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

პროგრამის დამატების საფასური **თითოეული პროგრამისთვის შეადგენს 175 ლარს**. ცენტრის მიერ პროგრამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნული თანხა უკან არ ბრუნდება.

ინფორმაცია საფასურის განსაზღვრის თაობაზე იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://eqe.ge/geo/static/771//

ასევე, არსებობის შემთხვევაში, განაცხადს თან უნდა დაერთოს პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ მეწარმე სუბიექტებთან ან სახელმწიფო ორგანოსთან გაფორმებული **ხელშეკრულება/მემორანდუმი,** რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ.

II ეტაპი

ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას.

შეუსაბამობის შემთხვევაში ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს **არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას** ხარვეზის გამოსასწორებლად.

ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოება გრძელდება, ხოლო ამავე ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი, რის შესახებაც ეცნობება საგანმანათლებლო დაწესებულებას.

III ეტაპი

ცენტრი აფასებს თქვენს მიერ წარდგენილ პროგრამას შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) მოწმდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაბამისობა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესთან“

აღნიშნული წესი იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://eqe.ge/geo/static/771//

ბ) მოწმდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაბამისობა იმ ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროგრამა;

გ) განისაზღვრება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობა.

კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://eqe.ge/geo/static/771//

ცენტრი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე განახორციელოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის ცვლილება მე-2 – მე-5 დონის ფარგლებში, რაც აისახება დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

IV ეტაპი

თქვენს მიერ წარდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ, ცენტრი განაცხადის **წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში** გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.

დაწესებულებას პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება ენიჭება 3 წლის ვადით

გთხოვთ გაითვალისწინოთ

საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, თუკი საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაკარგა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე ცენტრს წარუდგინოს შეცვლილი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა

ცენტრი განიხილავს შეცვლილ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას, ადგენს მის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას და იღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ასახვის ან მისი ამოღების შესახებ

სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, გამოითხოვოს თქვენგან შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის ვიზიტის (სამართლებრივი აქტი მონიტორინგის ვიზიტის შესახებ იურიდიულ პირს წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დროს) განხორციელების ან ვიზიტის გარეშე

თუ გამოვლინდა, რომ დარღვეულია ერთ-ერთი სტანდარტი, ცენტრი უფლებამოსილია, მონიტორინგის ფარგლებში მომზადებული დასკვნის საფუძველზე (მონიტორინგის დასკვნა, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის და საბჭოსთვის) მიიღოს გადაწყვეტილება ელექტრონული სისტემიდან პროგრამის ამოღების შესახებ ან გამოსასწორებლად განგისაზღვრავთ არ უმეტეს 15 სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება

იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს ისეთი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელება, რომელზეც არ აქვს ავტორიზებული შესაბამისი პროგრამა, მასაც მოუწევს გაიაროს პროცედურები პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების გზით.

იხილეთ გზამკვლევი იურიდიული პირებისთვის- https://eqe.ge/geo/static/779//

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია მომზადებულია 2019 წლის 23 მაისის მდგომარეობით არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. ის არ წარმოადგენს საკანონმდებლო ან ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს და მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს

პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების უფლების მოპოვების პროცესი სქემატურად



ცენტრი

პროგრამის დამატების მსურველი დაწესებულება